

მიმართება ემპათიასა და წინარწმენას შორის აუტისტური სპექტრის
აშლილობის მქონეთა და ეტლით მოსარგებლეთა მაგალითზე

თათია ყოლბაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია ყოლბაია

9 ივლისი 2020 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს ემპათიასა და წინარწმენას შორის კავშირის შესწავლას აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონეთა და ეტლით მოსარგებლეთა მაგალითზე. ასევე, კვლევაში შესწავლილია, არის თუ არა სხვაობა აღნიშნული ორი ჯგუფისადმი წინარწმენას შორის. ემპათიის გასაზომად გამოყენებულია ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსის საზომი ინსტრუმენტის ორი ქვესკალა – სხვისი პოზიციის მიღების უნარისა და ემპათიური ზრუნვის ქვესკალები, ხოლო წინარწმენა გაზომილია ბოგარდუსის სოციალური დისტანციის განახლებული სკალით, რომელიც ორ ფაქტორს – მეტად სენსიტიურ წინარწმენასა და ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას – მოიცავს. 120 რესპონდენტთან ჩატარებული კვლევის თანახმად, ვარაუდის წინააღმდეგ, წინარწმენის არც ერთ ფაქტორს ემპათიის არც ერთ ქვესკალასთან არ ჰქონდა მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია არც ერთი სამიზნე ჯგუფისათვის. თუმცა, მეორე ჰიპოთეზაში გამოთქმული ვარაუდი, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონეთადმი უფრო მაღალი იქნებოდა წინარწმენა, ვიდრე ეტლით მოსარგებლე პირთა მიმართ, ნაწილობრივ დადასტურდა: აუტისტური აშლილობის მქონეთადმი მეტად სენსიტიური წინარწმენის დონე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეტლით მოსარგებლე პირების მიმართ, თუმცა ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში სხვაობას ამ ორი ჯგუფისთვის არ ჰქონია ადგილი. მიღებული შედეგი მიუთითებს, რომ როცა საკითხი მგრძნობიარე, უფრო ახლო ურთიერთობებს ეხება, გამოხატულს მეტად სენსიტიური წინარწმენის ფაქტორში, ნაკლებ მიმღებლობას აქვს ადგილი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონეთა მიმართ, ეტლით მოსარგებლეებთან შედარებით მაშინ, როცა ეს სხვაობა იკარგება ნაკლებ ახლო, ნაკლებ მგრძნობიარე ურთიერთობების დროს, როგორსაც ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის ფაქტორი გამოხატავს.

საძიებო სიტყვები: ემპათია, წინარწმენა, აუტისტური სპექტრის აშლილობა, ეტლით მოსარგებლე.

Abstract

The goal of the present research is to study the relationship between empathy and prejudice towards people with Autism Spectrum Disorder (ASD) and wheelchair users. Additionally, the research explores the difference between the levels of prejudice towards the two groups in question. Empathy is measured with the two subscales – Perspective Taking and Empathic Concern – of Interpersonal Reactivity Index (IRI) scale, while prejudice is assessed through the updated version Bogardus Social Distance Scale, which includes two factors: More Sensitive Prejudice and Less Sensitive Prejudice. The study carried out among 120 participants showed that, as opposed to the first hypothesis, none of the prejudice factors was in negative correlation with none of the IRI subscales for none of the target groups. However, the second hypothesis, according to which prejudice towards people with ASD should be higher than towards wheelchair users, was partially proved: the level of More Sensitive Prejudice towards people with ASD was significantly higher than towards wheelchair users, but the difference did not occur for Less Sensitive Prejudice. The findings suggest that when it comes to more vulnerable, close relationships, as expressed through More Sensitive Prejudice, acceptance for people with ASD is lower as compared to wheelchair users, whereas the difference is removed for less vulnerable, less close relationships as represented through Less Sensitive Prejudice.

Key Words: Empathy, Prejudice, Autism Spectrum Disorder, Wheelchair User.